**დანართი შეთანხმება**

**2013 წლის 5 სექტემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გ.შ.№86 ხელშეკრულებაზე**

თბილისი 05.11.2013წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მინისტრის პირველი მოადგილის **თენგიზ შერგელაშვილის** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და სსიპ ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია'', მისი პრორექტორის ზაალ კაპანაძის სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის 2013 წლის 5 ნოემბრის №11482 მოხსენებითი ბარათისა და ძირითადი ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.2. და 10.4. პუნქტების საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება მხარეთა შორის 2013 წლის 5 სექტემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გ.შ.№86 ხელშეკრულებაში, რომელიც შეეხება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო მოხელეთა თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატთა ტესტირების ჩატარების მომსახურების გაწევას და აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2.1. ხელშეკრულების მთლიანი და ჯამური ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა (ელექტროენერგიის, ფურცლების, კალმების და სხვა ხარჯი) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით შეადგენს 7 140.00 (შვიდი ათას ას ორმოცი) ლარს;''

2. დანართი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. წინამდებარე დანართი შეთანხმება წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| --- | --- |
| საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე | სსიპ ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის'' პრორექტორი |
| თენგიზ შერგელაშვილი | ზაალ კაპანაძე |

01312

სსიპ საქართველოს
შსს აკადემია

გმირ კურსანტთა ქ. № 1
თბილისი 0178, საქართველო

LEPL ACADEMY
OF MIA OF GEORGIA

1, Gmir Kursantta str.,
0178 Tbilisi, Georgia

„11“ „XI“ 2013 წ.

№ 40/2-941

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველ ადგილეს
ბტონ თენგიზ შერგელაშვილს

ბატონო თენგიზ,

თქვენი 2013 წლის 06 ნოემბრის N 5495/გ წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ 2013 წლის 05 სექტემბერს გაფორმებული გ.შ. N 86 ხელშეკრულების დანართ შეთანხმებას, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია"-ს მიერ ხელმოწერილს და ბეჭედ დასმულს.

პრორექტორი [signature] ზაალ კაპანაძე

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
№ 11774 „11“ „11“ 2013 წ.
2 ფურცელი